

დადგენილება №22/2020 საგანგებო მდგომარეობის გამო სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო პროცესთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

დადგენილება № 22/2020

23 აპრილი, 2020

დადგენილება №22/2020 საგანგებო მდგომარეობის გამო სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო პროცესთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 აპრილის N14 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის სამსახურის უფროსს, თამარ ჩხეიძეს, სასწავლო დეპარტამენტის, დეკანებისა და მიმართულებების ხელმძღვანელებთან ერთობლივი მუშაობით დაევალოს:
 - ა) სტუდენტთა დასწრება არ დასწრების კონტროლი/მონიტორინგი, მათ შორის იმ დისციპლინებში, რომლებიც სრულად გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე;
 - ბ) შეიმუშაოს სრულად, ნაწილობრივ, შეზღუდულად მიწოდებული დისციპლინების საფუძველზე სემესტრიდან სემესტრზე გადასაყვანი გამოცდების ჩატარების ფორმები;
 - გ) შეიმუშაოს სრულად, ნაწილობრივ, შეზღუდულად მიწოდებულ დისციპლინებში სტუდენტთა შეფასების მეთოდები.

2. დაევალოს კონსერვატორიის ხარისხის სამსახურის უფროსს, თამარ ჩხეიძეს, სასწავლო დეპარტამენტის, დეკანებისა და მიმართულების ხელმძღვანელებთან ერთად შეიმუშაოს საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტი.
3. საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს მიმდინარე წლის 8 მაისი.
4. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
6. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

